

ბიავაკი (Biovac)

ინფექციური ბურსალური დაავადების (გამბოროს) საწინააღმდეგო, ცოცხალი მოდიფიცირებული ვაქცინა

წამლის ფორმა: პერორალურად მისაღები და თვალში ჩასაწვეთებელი ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა და თავისებურება

ცოცხალი მოდიფიცირებული ვაქცინა, რომელიც გამოიყენება ინფექციური ბურსალური დაავადების (გამბოროს) საწინააღმდეგოდ დამზადებულია მაღალი იმუნოგენურობის მქონე უსაფრთხო შტამით. ბიავაკის ვაქცინის დასამზადებლად გამოიყენება SPF კვერცხები.

გამოშვების ფორმა: 1000 დოზიანი კონტეინერი.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბიოლოგიური პრეპარატი.

გამოყენების ჩვენებები

ბიავაკი გამოიყენება ჯანმრთელ ბროილერებში და წიწილებში, ასევე დაავადებისადმი მგრძობიარე ფრინველებში ინფექციური ბურსალური დაავადების სპეციფიური პროფილაქტიკისათვის. აგრეთვე გამოიყენება ჯანმრთელი წიწილების იმუნოზაციისთვის იმ საფრინველებში, სადაც არის დაავადების კერა.

გამოყენების წესი და დოზები

ვაქცინაცია ტარდება წიწილების კატეგორიისა და დედისაგან გადაცემული ანტისხეულების დონის გათვალისწინებით. ვაქცინაცია ტარდება იმ შემთხვევაში, თუ ანტისხეულების დონე დაბალია. იმუნოზაციის სქემა შეიცავს ერთ, ორ ან სამ ვაქცინაციას. ვაქცინაციის რაოდენობა დამოკიდებულია ეპიდემიოლოგიურ სტატუსზე, წიწილების ჯიშზე და გამოყვანის პირობებზე. საუკეთესო შედეგისათვის პირველი ვაქცინაცია შეიძლება 10-12 დღის ასაკში. შემდეგი ვაქცინაციის საჭიროება განისაზღვრება ანტისხეულების დონითა და/ან ეპიდემიოლოგიური მდგომარეობით. ვაქცინა გამოყენებულ უნდა იქნას განზავებისთანავე დაუყოვნებლივ.

მასიური ვაქცინაცია (დასალევი წყლით): ვაქცინაციის უპირატესობა დალევინების მეთოდია. ვაქცინაციამდე 48 სთ-ით ადრე და ვაქცინაციის შემდეგ 24 საათის

განმავლობაში დასაღვევი წყალი არ უნდა შეიცავდეს დეზინფექტანტებს და სხვა მედიკამენტებს. დასაღვევი მოწყობილობა უნდა გაირეცხოს სუფთა წყლით. წიწილებს ვაქცინაციამდე 2-4 საათი არ უნდა მიეცეს სასმელი წყალი. ფრინველების სადგომი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ფრინველების 2/3-მა ერთდროულად შეძლოს წყლის დაღვევა. რეკომენდებულია, ვაქცინის გამხსნელ წყალში ჩაემატოს რძის ფხვნილი რაოდენობით - 25გ/10ლ სასმელ წყალზე. ვაქცინა განზავდება შემდეგი რაოდენობის წყალში: 1000 დოზა 10 ლიტრში, 2500 დოზა 25 ლ წყალში და 5000 დოზა 50 ლ წყალში. (10 დღის ასაკის წიწილებისათვის დასაღვევი წყლის რაოდენობა 10 მლ/ერთ ფრთაზე, 14 დღის წიწილისთვის 15ლ/ერთ ფრთაზე). ინდივიდუალური ვაქცინაცია (თვალში ჩაწვეთების მეთოდი) 1000 დოზიანი ვაქცინა იხსნება 50 მლ და 500 დოზიანი კი 25 მლ გამხსნელში. გახსნილი ვაქცინის ერთი წვეთი ეწვეთება თითოეულ თვალში.

უკუჩვენებები

არ გამოიყენება კლინიკურად დაავადებულ ფრინველებში.

დაყოვნების პერიოდი: 7 დღე.

უსაფრთხოების ზომები: არ გადააჭარბოთ რეკომენდებულ დოზებს. გამოყენებული ფლაკონები და გამოუყენებელი ვაქცინა უნდა განადგურდეს.

შენახვის პირობები:

ინახება 2-8°C-ზე, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ვარგისობის ვადა: 24 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: პასტერის ინსტიტუტი, რუმინეთი.